# რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში

ქართველი და რუსი ექსპერტების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტები

2011

CARNEGIE MOSCOW CENTER
CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE

# რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში

ქართველი და რუსი ექსპერტების მიერ შემუშავებული
საზოგადოებრივი პოლიტიკის  სარეკომენდაციო დოკუმენტები

2011

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

პროექტის დირექტორი: კახა გოგოლაშვილი

პროექტის კორდინატორი: ქეთევან ემუხვარი

მთარგმნელი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტიომ მელიქ-ნუბაროვი

ტირაჟი: 250

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

ISBN 978-9941-0-3872-3

# საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია პოსტსაბჭოთა პერიოდში: განვლილი გზა და პერსპექტივები

*ვლადიმერ პაპავა*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების*
*კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

## რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. დღეისათვის ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გართულებულია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობა დაძაბულია, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობა — სრულიად გაწყვეტილი, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს შეწყვეტილა. საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ინდუქციის მეთოდით შესწავლის საფუძველზე წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ ამ ურთიერთობების თვისობრივი გაუმჯობესების ძირითად პერსპექტიულ მიმართულებებს. კერძოდ, განვიხილავთ ქართული პროდუქტების რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხებს, როგორ შეიძლება საქართველოსგან თანხმობის მიღება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით და რა გზით მოხდება მოსკოვის უარყოფითი დამოკიდებულების დაძლევა ენერგომატარებლების ევროპისაკენ საქართველოს გავლით ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. პირველი პრობლემის მოსაგვარებლად ინიციატივა უნდა წამოვიდეს ქართველი მეწარმეებისა და მათი გაერთიანებებისგან. რაც შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასა და ამაზე საქართველოს თანხმობას, ეს შეუძლებელია ამ ორ ქვეყანას შორის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებში საბაჟო ურთიერთობების მოგვარების გარეშე, რაშიც უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის — მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამაც. ენერგომატარებლების საქართველოს გავლით ევროპისაკენ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით მოსკოვის უარყოფითი დამოკიდებულების დასაძლევად კი აუცილებელია პარადიგმა „ალტერნატიული მილსადენები“ შეიცვალოს პარადიგმით „ურთიერთშემავსებელი მილსადენები“, ანუ „მილსადენების ჰარმონიზაცია“, რაც ემყარება იმ სუბიექტებს შორის პარტნიორობის მექანიზმებს, ვინც მოიპოვებს, ტრანსპორტირებას ახორციელებს და ნავთობსა და გაზს მოიხმარს. ყველა ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება წარმატებით, თუკი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად ჩაერთვება ყველა დაინტერესებული სუბიექტი საერთაშორისო საზოგადოებიდან.

## შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოცი წელი გავიდა, მაგრამ სულ უფრო დიდ სამეცნიერო ინტერესს იწვევს იმ პოსტსაბჭოთა ურთიერთობების შესწავლა, რაც ჩამოყალიბდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. არც ის არის გასაკვირი, რომ ყველაზე ცხოველ ინტერესს სწორედ რუსეთის, როგორც სსრკ სამართალმემკვიდრის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობების კვლევა იწვევს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე[55] ქართული ურთიერთობების კვლევა უფრო სპონტანური, ვიდრე სისტემატიური ხასიათისა იყო, რაც

[55] მაგალითად, *The Guns of August 2008: Russia's War in Georgia*, Svante E. Cornell, S. Frederick Starr, eds. Armonk: M.E. Sharpe, 2009.

უარყოფითადაც აისახა ამ ურთიერთობებზე. სამწუხაროდ, ნაკლებადაა შესწავლილი პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკური ურთიერთობები ამ ქვეყნებს შორის[56].

ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ქართველი და რუსი მეცნიერებისა და ექსპერტების შეხვედრების ორგანიზებასა და მათ ერთობლივ კვლევით საქმიანობას. ამის შედეგად უკვე გამოჩნდა ერთობლივი პუბლიკაციებიც[57].

სამწუხაროდ, ფაქტია, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა არის ცუდი. დღეისათვის ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები დაძაბულია, ხოლო დიპლომატიური კი — საერთოდ გაწყვეტილი, ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს შეჩერებულა.

ჩვენი კვლევის *მიზანია* იმ საერთოს გამონახვა, საიდანაც შესაძლებელი იქნება ქართულ-რუსული ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივების დასახვა.

კვლევის *ამოცანებია*: ა) საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა და ბ) ამ ურთიერთობათა დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და შედარებით მწვავე საკითხების გამოვლენა, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროა სამომავლოდ.

საკვლევი თემის *აქტუალურობა* იმით განისაზღვრება, რომ საქართველო-რუსეთს შორის ოფიციალურ ურთიერთობათა ფაქტობრივი არქონის პირობებში ამ ქვეყნების ცალკეულ სუბიექტებს შორის ეკონომიკური კონტაქტები ვითარდება სახელმწიფოთაშორისი რეგულირების ჩარჩოებს მიღმა. ამის მაგალითია საქართველოდან რუსეთში „ექსპორტირებული“ სამუშაო ძალა, ხოლო რუსთიდან საქართველოში „ექსპორტირებული“ პირდაპირი ინვესტიციები. გარდა ამისა, ეს ქვეყნები, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, განიხილებიან, როგორც ენერგომატარებლების ტრანსპორტირების კონკურენტები.

ვითარება, როდესაც ქვეყანათა შორის არ არსებობს ოფიციალური ურთიერთობები, ხოლო ეკონომიკური ურთიერთობები თვითნებურად, თავისთავად ვითარდება, ქართულ-რუსულ კონტექსტში შესწავლილი არ ყოფილა. ეს თავის მხრივ განსაზღვრავს ამ გამოკვლევის *პრაქტიკულ მნიშვნელობასაც*, რადგან ქართულ-რუსული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების დარგში რეკომენდაციები გამოადგება ამ ქვეყნებს შორის საერთო ინტერესების გამონახვასა და ქვეყანათა შორის არსებული დაძაბულობის შენელებას.

წინამდებარე კვლევაში გამოვიყენეთ თვისობრივი ანალიზის მეთოდი. საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ არსებული ფაქტობრივი მასალის (რომელიც დაგროვდა 20 წლის მანძილზე, სსრკ-ის დაშლის შემდეგ) განვრცობა ინდუქციის მეთოდის საფუძველზეა განხორციელებული. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ შეზღუდვას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელთ არ გვაქვს რეალური ეკონომიკური ვითარების ამსახველი ოფიციალური სტატისტიკის ყველა მონაცემი, განსაკუთრებით შრომითი მიგრაციის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ა.შ. შესახებ. ამაზე ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ქვემოთ იქნება მითითებული.

[56] იშვიათი გამონაკლისის სახით იხ. სტატია: Э. М. Иванов. «Экономические отношения России и Грузии». წიგნში: *Грузия: проблемы и перспективы развития*. Том 1. Под ред. Е. М. Кожокина. Москва: Российский институт стратегических исследований, 2001.

[57] მაგალითად, *Россия и Грузия: пути выхода из кризиса*. Под ред. Георгия Хуцишвили и Тины Гогелиани. Тбилиси: МЦКП, 2010.

### პრობლემის აღწერა

წინამდებარე კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაიყოს სამ ეტაპად: რევოლუციამდელი (ანუ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე"), ომამდელი (ანუ „ვარდების რევოლუციიდან" 2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართული ომამდე) და ომის შემდგომი (2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართული ომის შემდეგ).

### რევოლუციამდელი პერიოდი

საბჭოთა კავშირის ფარგლებში საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები თავისი ხასიათით იყო რეგიონთაშორისი ურთიერთობები ერთიანი ქვეყნის სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის მბრძანებლური ეკონომიკის სისტემაში. საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებს განსაზღვრავდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ცენტრალური ორგანო — სსრკ-ის ე.წ. „გოსპლანი" (ანუ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი). საქართველო მისი მცირე ზომიდან გამომდინარე, კავკასიის სხვა მცირე საბჭოთა რესპუბლიკებთან (ზერბაიჯანი და სომხეთი) ერთად, სსრკ-ის ეკონომიკური დარაიონების სისტემაში ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში შედიოდა[58].

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დაიშალა მბრძანებლური ეკონომიკაც, რამაც უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეში ცალკეულ საწარმოთა შორის არსებული სამრეწველო კავშირების გაწყვეტა გამოიწვია. საქართველოში ეს ტენდენცია დაჩქარდა. კერძოდ, პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს პირველმა ხელმძღვანელობამ წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოაცხადა რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა და გადაკეტა სარკინიგზო კვანძი ქალაქ სამტრედიაში. ამის შედეგად რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული სამრეწველო კავშირები უფრო ადრე და უფრო სწრაფად გაწყდა, ვიდრე ეს მოხდა სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. ამან პირველ რიგში საქართველოს ეკონომიკა დააზარალა[59]. ეს იყო პირველი მცდარი ეკონომიკური ნაბიჯი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, რომელიც განაპირობა საქართველოს ხელისუფლების არასწორმა მოქმედებებმა. ხაზს ვუსვამთ, რომ ამის შემდეგაც რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო.

დარჩა რა სამანეთო ზონაში, საქართველოს (სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად) 1992 წლის შემოდგომიდან მოსკოვიდან საბჭოთა სამანეთო ბანკნოტების (საბჭოთა მანეთის ნაცვლად რუსული მანეთი მხოლოდ 1993 წლის ზაფხულში შემოიღეს) მიღების პრობლემა გაუჩნდა[60]. ეს იყო რუსეთის რეაქცია, რომელიც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ზოგი ყოფილი რესპუბლიკის (მათ შორის საქართველოს) ცენრტალური ბანკებიდან ე.წ. „ჰაერის", ანუ ისეთი ფულადი გზავნილების გადარიცხვამ, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი უზრუნველყოფა. ამან, თავის მხრივ, საქართველოში დროებითი ეროვნული ვალუტის — ეროვნული ბანკის კუპონის — შემოღება დააჩქარა[61].

პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), სადაც გაერთიანდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ბალტიის ქვეყნების გამოკლებით. საქართველო დამოუკიდებელ

[58] მაგალითად, იხ.: *Закавказский экономический район. Экономико-географический очерк*. Под ред. А. А. Адамеску, и Е. Д. Силаева. Москва, «Наука», 1973.
[59] В. Папава, и Т. Беридзе. «Проблемы реформирования грузинской экономики». *Российский экономический журнал*, 1994, № 3.
[60] Роман Гециридзе. «Национальная валюта Грузии – Лари», *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм: CA&CC Press, 2008, 174-175.
[61] იქვე, 175.

სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდა მოგვიანებით, 1993 წელს, მას შემდეგ, რაც ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში საქართველო იძულებული შეიქნა დაეტოვებინა აფხაზეთი, რასაც მოჰყვა იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიანი ტალღა. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების იმედით საქართველომ მიიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილება, იმ მიზნით, რომ მოსკოვის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, რომელიც ყოველთვის ედგა მხარში სეპარატისტულ მოძრაობას არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებშიც[62].

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში მიაღწიეს მრავალ მნიშვნელოვან შეთანხმებას, რაც ხელს უწყობდა წევრი-სახელმწიფოების ეკონომიკური კონტაქტების დალაგებას, გავრცელებული აზრის თანახმად, თანამეგობრობა თავიდანვე შეეჯახა სირთულეებს ინტეგრაციის პროცესებში[63]. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევა საბაზრო საფუძველზე ინტეგრაციის სქემების შემუშავებისაკენ სწრაფვა, რაც დამახასიათებელია საწარმოო კოოპერაციისათვის და რაც ნიშანდობლივი იყო სსრკ-ის შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემისათვის[64].

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში ორივე ქვეყანა, საქართველოც და რუსეთიც, დაკავებული იყო საკუთარი პრობლემებით — საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით და ამდენად, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ამ ქვეყნების კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური დაინტერესების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია რუსეთის 1998 წლის სავალუტო-ფინანსურმა კრიზისმა, რაც უარყოფითად აისახა საქართველოს ეროვნული ვალუტის — ლარის — გაცვლითი კურსისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობაზე[65]. ამის შედეგად საქართველოსთან საგარეო ვაჭრობაში პირველობა რუსეთმა მხოლოდ თურქეთს დაუთმო (ისიც არა დიდი ხნით). ასე გაგრძელდა 2006 წლამდე, იქამდე, სანამ რუსეთმა ქართული ღვინისა და მინერალური წყლებისთვის, ასევე ქართული წარმოშობის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის არ დაკეტა თავისი ბაზარი.

რევოლუციამდელი პერიოდის ქართულ-რუსულ ურთიერთობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების ტექსტის საქართველოს პარლამენტის მიერ იძულებითი რატიფიკაცია, რომლის თანახმადაც, საქართველომ რუსეთის ვალის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და პარიზის კლუბის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ უარი თქვა ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებზე[66]. მართალია, პარაფირებულ ტექსტში ეწერა, რომ ეს არ ვრცელდება ალმასის ფონდსა და ყოფილი სსრკ-ის „ვნეშეკონომბანკის“

---

[62] მაგალითად, *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*, Gary K. Bertsch, Cassady Craft, Scott A. Jones, and Michael Beck, eds. New York: Routledge, 2000; Dov Lynch. *Engaging Eurasia's Separatist States.Unresolved Conflicts and De Facto States*. Washington, D.C.: United States Institute of Peace Press, 2004.

[63] მაგალითად, Р. С. Гринберг, Л. З. Зевин, и др. *10 лет Содружества независимых государств: иллюзии, разочарования, надежды*. Москва: ИМЭПИ РАН, 2001; Л. П. Козик и П. А. Кохно. *СНГ: реалии и перспективы*. Москва: Издательский дом «Юридический мир ВК», 2001; В. А. Шульга (рук. авт. колл.). *Экономика СНГ: 10 лет реформирования и интеграционного развития*. Москва: Финстатинформ, 2001; Н. Н. Шумский. *Сотрудничество независимых государств: проблемы и перспективы развития*. Минск: «Технопринт», 2001.

[64] მაგალითად, Martha Brill Olcott, Anders Åslund, and Sherman W. Garnett. *Getting it Wrong: Regional Cooperation and the Commonwealth of Independent States*. Washington, D.C.: Carnegie Endowment for International Peace, 1999.

[65] Мераб Какулия. «До и после введения лари: национальная валюта Грузии в ретроспективе», *Центральная Евразия: национальные валюты*. Под ред. Э. М. Исмаилова. Стокгольм: CA&CC Press, 2008, 196-197.

[66] იხ.: Нодар Броладзе. «“Нулевой вариант”: за и против». *Независимая газета*, 2001, 17 января, на сайте http://www.ng.ru/cis/2001-01-17/5_variant.html#.

ანგარიშებზე, მაგრამ 1993 წელს ხელმოწერილ ოფიციალურ დოკუმენტში ასეთი ჩანაწერი უკვე აღარ იყო, რაც ქართულმა მხარემ მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ შენიშნა. საქართველოს ხელისუფლების მრავალრიცხოვანი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის მხარე ხელმოწერილ ტექსტში რამის შეცვლას არ აპირებდა, ხოლო როდესაც საქართველოს დასჭირდა რუსეთის მიმართ საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია, მოსკოვმა ამ ხელშეკრულების იმ სახით რატიფიკაცია მოითხოვა, რა სახითაც იყო ხელმოწერილი. რადგანაც საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის ალტერნატიული ვარიანტი არ არსებობდა, საქართველოს თავისი ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოუწია „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც პარაფირებული ტექსტისაგან განსხვავდებოდა.

აზერბაიჯანული ნახშირწყალბადის რესურსების საქართველოს გავლით ტრანსპორტირებას ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. კერძოდ, რუსეთი მიიჩნევდა (და სამწუხაროდ, დღემდე მიიჩნევს), რომ ამ პროექტის რეალიზაცია საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ უსაფრთხოებას და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს[67]. ამრიგად, რუსეთი არა მარტო არ იყო დაინტერესებული საქართველოს გავლით ტრანსპორტირების დერეფნის გაყვანით, არამედ ყველა ძალას ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა ამ პროექტებისათვის[68].

### ომამდელი პერიოდი

ჯერ კიდევ საქართველოს 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციამდე“ რუსეთში უკვე პოპულარული იყო „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის იდეა[69], რომლის მიხედვითაც, რუსეთს ეკონომიკური ექსპანსიის საშუალებით შეუძლია და უნდა აღადგინოს კიდეც თავისი ეკონომიკური გავლენა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე.[70] ზოგადად, ლიბერალური იმპერია, მისი ავტორების ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა შეიქმნეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არა ძალადობრივი შეიარაღებული ოკუპაციის, არამედ ამ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი ეკონომიკური ობიექტების დასაკუთრების (შეძენისა და აქტივების განვითარების) გზით[71].

კავკასიაში პირველი ქვეყანა, რომელიც რუსეთის „ლიბერალურ იმპერიაში“ ჩაერთო, იყო სომხეთი. ჯერ კიდევ 2002 წლის ბოლოს დაიდო რუსეთსა და სომხეთს შორის ხელშეკრულება „ქონების ვალზე გაცვლა“[72], რომლის თანახმადაც, რუსეთმა სომხეთისაგან მიიღო საწარმოები, რომელთა საერთო ღირებულება — 93 მილიონი აშშ დოლარი — საკმარისი აღმოჩნდა რუსეთის მიმართ სომხეთის ვალის დასაფარად.

---

[67] Alexander Rondeli. “Pipelines and Security Dynamics in the Caucasus.” *Insight Turkey*, 2002, Vol. 4, No 1.

[68] იქვე.

[69] Анатолий Чубайс. «Миссия России в XXI веке». *Независимая газета*, 2003, 1 октября, на сайте http://www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1_mission.html
აღსანიშნავია, რომ ჩუბაისის იდეა „ლიბერალური იმპერიის“ შესახებ განსაკუთრებით 1998-2005 წლებში იყო პოპულარული (Thomas W. Simons, Jr. *Eurasia’s New Frontiers: Young States, Old Societies, Open Futures*. Ithaca: Cornell University Press, 2008, pp. 70-81). იმპერიის აღდგენის იდეა რუსეთში ყოველთვის (სსრკ-ის დაშლისთანავეც კი) იყო აქტუალური (მაგალითად, იხ.: Karen Dawisha. “Imperialism, Dependence, and Interdependence in the Eurasian Space”. In *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*. Adeed Dawisha, and Karen Dawisha, eds. Armonk, M. E. Sharpe, 1995).

[70] მაგალითად, Henry Kissinger. Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomacy for the Twenty-First Century. London: The Free Press, 2002, 76.

[71] Keith Crane, D. J. Peterson, and Olga Oliker. “Russian Investment in the Commonwealth of Independent States”. *Eurasian Geography and Economics*, 2005, Vol. 46, No. 6.

[72] იხ.: Анна Зейберт. «Баланс интересов Армении и России нуждается в переоценке». *Деловой Экспресс, Express.AM*, 2006, № 4, 9-15 февраля, на сайте http://www.express.am/4_06/geopolitics.html; Haroutiun Khachatrian. “Russian Moves in Caucasus Energy and Power Sectors could have Geopoliticl Impact”. *Eurasia Insight. Eurasianet*, 2003, September 25, http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav092503.shtml.

მოგვიანებით სომხეთის ეკონომიკა თითქმის მთლიანად გახდა რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ ნაწილი[73].

რუსეთსა და სომხეთს შორის მდებარე საქართველო და აზერბაიჯანი წარმოადგენს გეოგრაფიულ დაბრკოლებას სომხური და რუსული ეკონომიკის ერთიან ეკონომიკურ სივრცედ გასაერთიანებლად. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამო ამ გაერთიანებისათვის ქართული „მარშრუტი“ გაცილებით უფრო რეალისტურია, ვიდრე აზერბაიჯანული. ამ „ლიბერალურ იმპერიაში“ საქართველოს ჩათრევით გაადვილდება ამ იმპერიული სქემის აზერბაიჯანზე გავრცელებაც, რადგან მისი ყველა სატრანსპორტო კომუნიკაციის არტერია, ძირითადი მილსადენების ჩათვლით, საქართველოზე გადის.

საქართველოს „ლიბერალურ იმპერიაში“ გაერთიანება ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო, როდესაც „რაო ეეს“-მა იყიდა ამერიკული კომპანია „აექს (ამერიკული ელექტროქიმიური საზოგადოება) – აბრეშუმის გზის“ (რომელიც ფლობდა თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელს) აქციები და სხვა აქტივები. ამის შედეგად „რაო ეეს“-ის კონტროლს დაექვემდებარა ქვეყნის ელექტროქსელის 75 პროცენტი[74].

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რუსულმა კომპანიებმა და მათმა შვილობილმა საწარმოებმა, რომლებიც დარეგისტრირებულია მესამე ქვეყნებში, საქართველოს მთავრობის მიერ გასაყიდად გამოტანილი ახალი ობიექტების დიდი ნაწილი პრივატიზაციის სქემების საკმაოდ გაუმჭვირვალე ვითარებაში[75] შეიძინეს. ასეთი ტიპური კომპანია იყო, მაგალითად, რუსული ჰოლდინგი-კომპანია „პრომიშლენიე ინვესტორი“, რომელმაც ხელში ჯერ ოქროს საბადო ჩაიგდო, შემდეგ კი — ოქროს ზოდების დამამზადეებლი ქარხნის ნახევარი[76].

აქტიურობდა გაზპრომიც — რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი გაზის მონოპოლია, რომლის მიზანია აკონტროლოს არა მხოლოდ საქართველოს გაზის მრეწველობა, არამედ ის ერთადერთი გაზსადენიც, რომლითაც რუსული გაზი საქართველოსაც და სომხეთსაც მიეწოდება. საქართველოს მთავრობასა და გაზპრომს[77] შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში მხოლოდ აშშ-ის ჩარევით გახდა შესაძლებელი, რომ გაზსადენი არ მიყიდეს გაზპრომს[78].

2005 წელს „ვნეშტორგბანკმა“ პრივატიზებული *გაერთიანებული ქართული* ბანკის, საქართველოში ზომით მესამე ბანკის, საკონტროლო პაკეტი შეიძინა[79]. ამის შედეგად რუსეთის სახელმწიფომ გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია მოახდინა.

---

[73] Гаидз Минасян. «Армения, российский форпост на Кавказе?». Russie.Nei.Visions, 2008, No. 27, февраль, сс. 9-10, http://www.ifri.org/files/Russie/ifri_RNV_minassian_Armenie_Russie_RUS_fevr2008.pdf.

[74] თეა გულარიძე, „ჩუბაისს თბილისში ხმაურიანი შეხვედრა მოუწყვეს”. *Civil Georgia*, 2003, 7 აგვისტო, http://www.civil.ge/geo/article.php?id=4564.

[75] Nino Gujaraidze, Merab Barbakadze, Kety Gujaraidze, Rusudan Mchedlishvili, Kakhaber Kakhaberi. *Aggressive State Property Privatization Policy on "Georgian-Style Privatization."* Tbilisi: Green Alternative, OSI, 2007,, available at www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Eng4.pdf; Nino Gujaraidze. *Aggressive State Property Privatization Policy on "Georgian-Style Privatization"-2*. Tbilisi: Green Alternative, OSI, 2010, available at http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/privatization_report_GA_2010(1).pdf

[76] მაგალითად, «Активы Маднеули перешли к российской группе Промышленные инвесторы». *Альфа-Металл*, 2005, 7 ноября, на сайте http://www.alfametal.ru/?id=news_details&news_id=10505.

[77] მაგალითად, «Грузия согласна продать магистральный газопровод Газпрому». *Лента.Ру*, 2005, 28 декабря, http://www.lenta.ru/news/2005/12/28/gas1/.

[78] Jeremy D. Gordon. "Russia's Foreign Policy Ace". *Paterson Review*, 2007, Vol. 8, 85-86, http://www.diplomatonline.com/pdf_files/npsia/Paterson%20Review%20Vol%208%202007_BYPRESS2b.pdf

[79] მაგალითად, «Внешторгбанк (ВТБ) России приобретает контрольный пакет акций коммерческого "Объединенного грузинского банка"». Финам.Ру, 2005, 18 января, http://www.finam.ru/investments/newsma000010201D/default.asp?fl=1

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ 2004 წელს სახელმწიფოს კუთვნილმა რუსეთის „ვნეშტორგბანკმა“ სომხეთის “არმსბერბანკის” საკონტროლო პაკეტი მიიღო[80].

მოხმობილი მაგალითები მოწმობს, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ დაწყებული რუსეთის აქტიურობა, ჩაითრიოს საქართველო „ლიბერალურ იმპერიაში“, მნიშვნელოვნად გაიზარდა რევოლუციის შემდეგ[81], რასაც საქართველოს ხელისუფლებამაც ღიად შეუწყო ხელი[82]. საქართველოს (და არა მარტო) ხელისუფლების ამგვარი ქმედებები იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მსხვილი რუსული კომპანიების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხშირ შემთხვევაში არიან სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მუშაკები, რომლებიც რუსეთის მთავრობის მსგავსად, პოლიტიკურ მიზნების მისაღწევად მზად არიან დამატებითი სახსრები დახარჯონ[83].

ვითვალისწინებთ რა იმ რეალურ ნაბიჯებს, რაც რუსეთმა „ლიბერალურ იმპერიაში“ კავკასიის (პირველ რიგში, სომხეთისა და საქართველოს) ჩასართავად გადადგა, სრულიად უსაფუძვლოდ გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ საქართველო ეკონომიკური (და არა მხოლოდ) თვალსაზრისით მთლიანად დაკარგულია რუსეთისათვის[84] ან რომ საქართველოსა და სომხეთს რუსეთისათვის მინიმალური ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ[85].

2006 წელს, საქართველოს, მისი პროდასავლური ორიენტაციის გამო, „დასასჯელად“, რუსეთმა მოიმიზეზა ქართული ღვინისა[86] და მინერალური წყლების[87] უხარისხობა და ამ პროდუქტებისა და მთლაინად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის დახურა თავისი ბაზარი. ეს, მართალია, ერთი მხრივ, უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე[88], მაგრამ, მეორე მხრივ, იქცა სტიმულად, რომ საქართველოს თავისი პროდუქციის გასასაღებლად ახალი ბაზრები მოეძებნა[89]. ამის პარალელურად რუსეთმა საქართველოს ბლოკადა გამოუცხადა და ყოველგვარი საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო მიმოსვლა და საფოსტო გზავნილებიც კი შეაჩერა[90].

მოსკოვის მიერ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აკრძალვა არ ვრცელდებოდა აფხაზეთზე[91]. რუსეთის შემდეგ ქართული ღვინისა და მინერალური

---

[80] მაგალითად, «Внешторгбанк приобрел контрольный пакет акций Армсбербанка». *Ведомости,* 2004, 24 марта, http://www.vedomosti.ru/newsline/news/2004/03/24/16606.

[81] Владимир Папава, и Фредерик Старр. «Экономический империализм России». *Project Syndicate*, 2006, 17 января, на сайте http://www.project-syndicate.org/commentary/papava1/Russian; Vladimer Papava. “The Political Economy of Georgia’s Rose Revolution”. *Orbis. A Journal of World Affairs*, 2006, Vol. 50, No. 4, 663-665.

[82] Vladimer Papava. “The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice?” *Georgian International Journal of Science and Technology*, 2008, Vol. 1, Iss. 1, 3.

[83] Sir Basil Markesinis. *The American and Russian Economies in Moments of Crisis: A Geopolitical Study in Parallel*. ICBSS Policy Brief No. 19, 2009б November, 23-24, 27, http://icbss.org/images/papers/pb_19_markesinis.pdf.

[84] Сергей Лунев. «Центральная Азия и Южный Кавказ как геополитические регионы и их значение для России». *Центральная Азия и Кавказ*, 2006, № 3 (45), 26.

[85] იქვე.

[86] მაგალითად, იხ.: Zaal Anjaparidze. “Russia Continues to Press Georgian Wine Industry.” *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, 2006, April 20, available at www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=31602; Mamuka Tsereteli. “Banned in Russia: The Politics of Georgian Wine.” *Central Asia-Caucasus Institute Analyst*, 2006, April 19, http://www.cacianalyst.org/?q=node/3904.

[87] Robert Parsons. “Russia/Georgia: Russia Impounds Georgian Mineral Water”. *Radio Free Europe / Radio Liberty*, 2006, April 19, http://www.rferl.org/featuresarticle/2006/04/e3ee1b53-6b14-4553-a05d-4aa389364dd0.html.

[88] Eric Livny, Mack Ott, Karine Torosyan. “Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy.” *Georgia in Transition*. Lorenz King, Giorgi Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang, 2009.

[89] Джон Македон. «Российское экономическое давление приводит Грузию к мысли о выходе из СНГ». *Eurasianet – Русский*, 2006, 10 мая, http://russian.eurasianet.org/departments/business/articles/eav051006ru.shtml.

[90] «Россия объявила блокаду Грузии». *Лента.Ру*, 2006, 2 октября, на сайте http://lenta.ru/news/2006/10/02/blockade/.

[91] მაგალითად, Евгений Арсюхин. «Оранжевое предупреждение. Россия запретила ввоз грузинских фруктов». Российская газета, 2005, 21 декабря, http://www.rg.ru/2005/12/21/mandariny.html.

წყლების შეტანა აფხაზეთმაც აკრძალა[92]. აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთმა სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო აფხაზურ ღვინოსთან დაკავშირებით[93].

დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი[94]. საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი-ქვეყანა, იმთავითვე თანახმა იყო ამ ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე, თუკი მოსკოვი მისცემდა თბილისს შესაძლებლობას, გაეხსნა საკონტროლო-გამშვები პუნქტები საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მონაკვეთებზე[95]. თბილისის პირობები ემყარება იმ მოსაზრებებს, რომ ორ მეზობელ ქვეყანას შორის საქონლის საზღვარზე გადატან-გადმოტანა უნდა ხდებოდეს ეროვნული საბაჟო კანონმდებლობებით, რაც, სამწუხაროდ, ვერ ხორციელდება საქართველოს მხრიდან, სეპარატისტული მთავრობების გადაწყვეტილებების გამო, რასაც მოსკოვი ღიად უჭერს მხარს.

ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების გამო რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაპირისპირება შენარჩუნდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც: რუსეთმა ყველა ძალა და საშუალება გამოიყენა, რომ წინ აღდგომოდა მილსადენებთან დაკავშირებული პროექტების რეალიზებას[96]. რუსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ რუსეთი ზოგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან, მათ შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანთან, „ენერგეტიკულ ომს“ აწარმოებს[97].

### ომის შემდგომი პერიოდი

ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბულობამ კულმინაციას 2008 წლის აგვისტოში, რუსულ-ქართული ომის დროს მიაღწია. ამის შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები. ამ ომმა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ეჭვქვეშ დააყენა ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არსებობა, რომლიც მხოლოდ ფორმალურად აღიარებს მასში შემავალი ქვეყნების საზღვრების დაურღვევლობას[98]. რუსეთის აგრესიის შემდეგ, როგორც მოსალოდნელიც იყო, საქართველო გამოვიდა დამოუკიდებელ სახემწიფოთა თანამეგობრობიდან[99].

---

[92] მაგალითად, «Вслед за Россией грузинские вина и минеральные воды запретила Абхазия». *News.Ru*, 2006, 15 мая, на сайте http://www.newsru.com/finance/15may2006/abhasia.html.

[93] მაგალითად, *Анатолий Гордиенко. «Винно-политический обгон. “Букет Абхазии” вернется на российский рынок раньше “Хванчкары”»*. Независимая газета, *2007, 17 октября*, http://www.ng.ru/cis/2007-10-17/6_obgon.html*;* «Абхазия возобновит экспорт вина в Россию». *Алкогольный портал*, 2007, 8 октфбря, http://tatalc.ru/tatalc2/?pg=3&bl=1&md=2&iddoc=11139.

[94] მაგალითად, Katinka Barysch, Robert Cottrell, Franco Frattini, Paul Hare, Pascal Lamy, Maxim Medvedkov, Yevgeny Yasin. *Russia and the WTO*. London: Centre for European Reform (CER), 2002, http://www.cer.org.uk/pdf/p394_russia_wto.pdf.

[95] თეა გულარიძე, „მნიშვნელოვანი ბერკეტი”. *Civil.Ge*, 2007, 1 ივნისი, საიტზე http://www.civil.ge/geo/article.php?id=15448; “ბაქრაძე ნატოს შესახებ და რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებაზე საუბრობს”. *Civil.Ge*, 2008, 25 თებერვალი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=17576.

[96] მაგალითად, Steve LeVin. *The Oil and the Glory: The Pursuit of Empire and Fortune on the Caspian Sea*. New York: Random House, 2007; Mamuka Tsereteli. “Beyond Georgia: Russia’s Strategic Interests in Eurasia”. *Central Asia-Caucasus Institute Analyst*, 2008, June 11, http://www.cacianalyst.org/?q=node/4879.

[97] С. Б. Дружиловский. «К вопросу об альтернативной стратегии Российской Федерации в сфере энергетической политики», *Средиземноморье – Черноморье – Каспий: между Большой Европой и Большим Ближним Востоком*. Под ред. Н. П. Шмелева, В. А. Гусейнова, А. А. Языковой. Москва: Издательский дом «Граница», 2006, 80.

[98] Roy Allison. “Russia Resurgent? Moscow’s Campaign to ‘Coerce Georgia to Peace’.” *International Affairs*, 2008, Vol. 84, No. 6, p. 1161.

[99] „საქართველო ტოვებს დსთ-ს – სააკაშვილი“. *Civil.Ge*, 2008, 12 აგვისტო, საიტზე http://www.civil.ge/geo/article.php?id=19096; “პარლამენტმა დსთ-დან გამოსვლას დაუჭირა მხარი”. *Civil.Ge*, 2008, 14 აგვისტო, http://www.civil.ge/geo/article.php?id=19145.

ბოლო პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არანაირი ეკონომიკური ურთიერთობა არ არსებობს. ეს ასე არაა, რადგან საქართველო არის სამუშაო ძალის „ექსპორტიორი“ რუსეთში, ხოლო რუსეთი კი საქართველოში ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი „ექსპორტიორია“.

საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი შეზღუდვების გამო საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა დღეისათვის საკმაოდ შეკვეცილია, თუმცა სრულიად შეწყვეტილი არ არის. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რუსეთში ქართული ექსპორტის წილი, საქართველოს ექსპორტის მთელ მოცულობასთან შედარებით, 2005 წლის (ანუ ერთი წლით ადრე, სანამ რუსეთი ქართული პროდუქციის თავის ბაზარზე შეტანას აკრძალავდა) 17,8 პროცენტიდან 2008 წელს 2,0 პროცენტამდე შემცირდა, 2010 წელს კი 2,2 პროცენტი შეადგინა[100]. იგივე ტენდენცია შეინიშნება საქართველოში რუსული იმპორტის წილის შეზღუდვის თვალსაზრისითაც: თუკი 2005 წელს რუსეთიდან საქართველოში იმპორტი 15,4 პროცენტს შეადგენდა, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 6,7 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2010 წელს 5,5 პროცენტი შეადგინა[101]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში რუსეთს უკავია მეხუთე ადგილი (თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და გერმანიის შემდეგ), მაგრამ წინ უსწრებს აშშ-ს, ბულგარეთს, ჩინეთს და ა.შ.[102]

ცნობილია, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე, მათ შორის ეთნიკურად ქართველებიც, რომლებმაც მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა და ცხოვრობენ რუსეთში,[103] თავიანთი შემოსავლის ნაწილს საქართველოში მაცხოვრებელ ნათესავებს ურიცხავენ. რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ და 2006 წელს რუსეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების (მათ შორის რუსეთის მოქალაქეებისაც)[104] გამოძევებამ, საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ფულადი გზავნილებისთვის საბანკო არხების გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებული სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა ნათესავებისთვის ფულის გაგზავნის პრაქტიკას ნაცნობ-მეგობრების ხელით[105]. ამ ტენდენციაზე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმაც კი ვერ იქონია გავლენა. 2005 წელს (ანუ ქართველების რუსეთიდან გამოძევებამდე ერთი წლით ადრე) საქართველოში სულ გადმოირიცხა 403 მლნ. აშშ დოლარზე მეტი, აქედან რუსეთიდან – 240 მლნ. აშშ დოლარზე მეტი, რამაც მთელი ფულადი გზავნილების 59,6 პროცენტი შეადგინა. 2008 წელს ფულადი გზავნილების ოდენობა, 2005 წელთან შედარებით, გაიზარდა 2,6-ჯერ და 1002 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, სადაც 2,6-ჯერაა გაზრდილი ფულადი გზავნილები რუსეთიდან და შეადგენს თითქმის 634 მლნ. აშშ დოლლარს — უკვე ფულადი გზავნილებით მიღებული მთლიანი თანხის 63,3 პროცენტს[106]. 2009 წელს, გლობალური ფინანსური კრიზისის გამო, საქართველოში გადმორიცხულმა ფულადმა გზავნილებმა (სულ 842 მლნ. აშშ დოლარი) უკვე 2008 წელს თანხის 84 პროცენტი შეადგინა, რუსეთიდან კი, უფრო ცოტა, — მხოლოდ 71,0 პროცენტი (რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების წილმა

---

[100] „საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo.

[101] იქვე.

[102] იქვე.

[103] რუსეთში აქტუალურია შრომით იმიგრაციის პრობლემა (იხ.: С. В. Антуфьев. «Реалии трудовой иммиграции в современной России». *Право и безопасность*, 2005, № 3 (16), август, http://dpr.ru/pravo/pravo_16_18.htm).

[104] Владимер Папава. «Нелиберальная “либеральная империя” России». *Project Syndicate*, 2007, 28 февраля, http://www.project-syndicate.org/commentary/papava2/Russian.

[105] Merab Kakulia. “Labour Migrants’ Remittances to Georgia: Volume, Structure and Socio-Economic Effect.” *Georgian Economic Trends*, 2007, October, p. 56.

[106] „ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით“. საქართველოს ეროვნული ბანკი, http://www.nbg.gov.ge/index.php?m=306.

შეადგინა მთლიანი თანხის ნახევარზე მეტი — 53,5 პროცენტი)[107], რაც, პირველ რიგში, რუსეთში ეკონომიკური კრიზისის განსაკუთრებული სიმძიმით აიხსნება. 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, საქართველოში გაიზარდა ფულადი გზავნილების ოდენობა როგორც საერთოდ (940 მლნ. აშშ დოლარი), ისე რუსეთიდანაც (530 მლნ. აშშ დოლარი), შესაბამისად გაიზარდა რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების წილიც, რომელმაც 56,4 პროცენტი შეადგინა[108].

გაცილებით რთულია საქართველოს ეკონომიკაში ჩადებული რუსული (და არა მარტო რუსული) ინვესტიციების მეტ-ნაკლებად ზუსტი ოდენობის დადგენა, რადგან სტატისტიკური ინფორმაცია იმდენად არასრულყოფილია, რომ მასზე დაყრდნობა არ იძლევა რეალური ვითარების შესახებ საფუძვლიანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ბევრი ფირმა, რომელმაც პირდაპირი ინვესტიციები განახორციელა, დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონებში, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს ამ ფულადი ნაკადების რეალური წარმომავლობა. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რუსეთი, საქართველოში 2010 წელს განხორციელბული ინვესტიციების მიხედვით, ნიდერლანდის და აშშ-ის შემდეგ, მესამე ადგილზეა[109].

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, თბილისის პოზიცია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით უფრო კარგად გამოიკვეთა: თუ ოფიციალური მოსკოვი ნებას არ მისცემს ქარველ მებაჟეებს იმუშაონ ამ ორ სეპარატისტულ ტერიტორიაზე, ანუ ორ ქვეყანას შორის არსებულ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებზე, საქართველო ოფიციალურად არ დაეთანხმდება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას[110]. 2011 წლის მარტში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველად, ბერნში (შვეიცარია) რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე სათათბიროდ ერთმანეთს ოფიციალურად შეხვდნენ რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაციები. როგორც ჩანს, ასეთი შეხვედრები 2011 წლის მანძილზე კიდევ ჩატარდება.

ისევ რთულია ვითარება აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების დერეფნად საქართველოს გამოყენებასთან დაკავშირებით. რუსეთ-საქართველოს ომმა ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ამ ომის დროს რუსულმა ავიაციამ დაბომბა საქართველოზე გამავალი მილსადენები, რომლებიც საკმაოდ მოშორებითაა სამხრეთ ოსეთიდან, რომლის დაცვაც ომის დაწყების ფორმალური საბაბი იყო[111]. ომის შედეგად ეჭვქვეშ დადგა სატრანსპორტო დერეფნის — საქართველოზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოება[112]. საბედნიეროდ, ენერგეტიკული რესურსების საქართველოს გავლით ტრანსპორტირებასთან

[107] იქვე.
[108] იქვე.
[109] „2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 16%-თ ჩემცირდება“. *Civil.Ge*, 2011, 12 მარტი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=23765.
[110] Кристиан Лоу. «Грузия не отказывается от своей позиции по поводу вступления России в ВТО». *ИноСМИ.ru*, 2010, 28 октября, на сайте http://www.inosmi.ru/caucasus/20101028/163900779.html
[111] მაგალითად, Alexander Jackson. “IA Forum Interview: Vladimer Papava.” *International Affairs Forum*, 2008, August 14, http://ia-forum.org/Content/ViewInternalDocument.cfm?ContentID=6377.
[112] Stephen F. Jones. “Clash in the Caucasus: Georgia, Russia, and the Fate of South Ossetia.” *Origins: Current Events in Historical Perspective*, 2008, Vol. 2, Iss. 2, http://ehistory.osu.edu/osu/origins/article.cfm?articleid=20; Jad Mouawad. “Conflict Narrows Oil Options for West.” *The New York Times*, 2008, August 13, http://www.nytimes.com/2008/08/14/world/europe/14oil.html; John Roberts. “Georgia Falls Victim to Pipeline Politics.” *BBC News*, 2008, August 12, http://news.bbc.co.uk/2/hi/business/7557049.stm.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსული აგრესიის ერთ-ერთ მიზანს სწორედ საქართველოზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეჭვების გაძლიერება წარმოადგენდა (Pierre Hassner. “One Cold War Among Many?” *Survival*, 2008, Vol. 50, No. 4, 250).

დაკავშირებული ნდობის აღდგენას დიდი დრო არ დასჭირვებია[113]. გარდა ამისა, ფაქტმა, რომ მოსკოვმა ამ გზით ვერ შეძლო მიეღწია დასახული მიზნისათვის — გაეკონტროლებინა მილსადენები[114], ანუ ყოფილი სსრკ-ის ენერგორესურსების დასავლეთისაკენ ტრანსპორტირების სრული მონოპოლიზება მოეხდინა, უბიძგა ამერიკასაც და ევროპასაც, რომ უფრო გულმოდგინებით შედგომოდნენ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის რუსეთის ალტერნატიული გზების ძიებას[115].

### პრობლემის მოგვარების ზოგიერთი გზა

სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობების ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, ნაკლები ოპტიმიზმი გვრჩება იმედისათვის, რომ უახლოეს მომავალში ამ მხრივ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვება. ჩვენს პესიმიზმს ორივე ქვეყნის ლიდერების განცხადებებიც აღრმავებს[116]. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მცდელობას, რუსეთის ხელმძღვანელობასთან დაეწყო დიალოგი[117], რუსი კოლეგის უკიდურესად ნეგატიური პასუხი მოჰყვა[118].

ამ ვითარების მიხედვით, *შედარებით შესაძლებლად გვეჩვენება სტატუს-კვოს შენარჩუნება საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში.* ასეთ შემთხვევაში გაგრძელდება ის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ამ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა — რუსეთის მსხვილი კომპანიები არიან ერთ-ერთ მთავარი „მოთამაშეები“ საქართველოში მოქმედ უცხოელ ინვესტორებს შორის, ხოლო საქართველო — რუსეთში სამუშაო ძალის „მიმწოდებელი“. ამასთან, რუსეთის ბაზარი კვლავ დახურული იქნება ქართული ღვინის, მინარალური წყლებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, ხოლო საქართველო წინ აღუდგება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას, ასევე გაგრძელდება დაპირისპირება თბილისსა და მოსკოვს შორის ენერგორესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. ლაპარაკია ქართული პროდუქტებისათვის რუსეთის ბაზრის გახსნაზე, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევაზე და ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სფეროში მიდგომების შეცვლაზე. ქვემოთ ყველა ამ მიმართულებას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

რუსეთს საქართველოსათვის სავაჭრო ემბარგო ოფიციალურად არ გამოუცხადებია, ქართული პროდუქტებისათვის რუსეთის ბაზრი კი რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა ამ პროდუქტების უხარისხობის მომიზეზებით დახურა. აქედან გამომდინარე, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შემდეგაც შეეძლება ქართული წარმომავლობის პროდუქციის, ვითომდა უხარისხობის მიმიზეზებით, რუსეთის ბაზარზე არდაშვება[119]. შესაბამისად, ქართული პროდუქტების რუსულ ბაზარზე

---

[113] Vladimir Socor. “Business Confidence Returning to the South Caucasus Transport Corridor.” *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, 2008, Vol. 5, No. 186, September 28, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33978.

[114] Ariel Cohen, and Lajos F. Szaszdi. “Russia’s Drive for Global Economic Power: A Challenge for the Obama Administration.” *The Heritage Foundation*, 2009, Backgrounder No. 2235, January 30, http://www.heritage.org/research/RussiaandEurasia/bg2235.cfm.

[115] Ivan Krastev. “Russia and the Georgia War: the Great-Power Trap.” Open Democracy News Analysis, 2008, August 31, http://www.opendemocracy.net/article/russia-and-the-georgia-war-the-great-power-trap

[116] მაგალითად, „სააკაშვილი: პუტინს საქართველოსთვის არაფერი კარგი არ სურს“. *Civil.Ge*, 2010, 22 იანვარი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=22261; «Путин высмеивает грузинского лидера Саакашвили». *ИноСМИ.ru*, 2000, 20 ноября, http://www.inosmi.ru/caucasus/20091120/156575284.html.

[117] მაგალითად, Ия Агулашвили. «Примет ли Медведев предложение Саакашвили?». *Резонанси*, 2009, 17 марта, http://www.apsny.ge/analytics/1237355387.php.

[118] მაგალითად, «При Саакашвили Россия и Грузия не восстановят отношения – Медведев». *РИА Новости*, 2010, 24 июня, http://www.rian.ru/video/20100624/249738309.html.

[119]მაგალითად: «Г. Онищенко: Грузия ничего не делает для улучшения качества вин». *Yarmarka.net*, 2006, 17 июля, http://www.yarmarka.net/news/news.asp?id=37794.

დაბრუნების საკითხის მიბმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხთან, თუნდაც ფორმალური თვალსაზრისით, არ არის მართლზომიერი.

ვითვალისწინებთ რა რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის არაერთგზის განცხადებას აკრძალული ქართული პროდუქტების რუსეთის ბაზარზე შესატანად მოლაპარაკებების აღსადგენად მზადყოფნასთან დაკავშირებით[120] და ამ ორი ქვეყნის ლიდერებს შორის არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობას, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ვფიქრობთ, რომ *რუსეთის ბაზარზე დაბრუნების ინიციატივა უშუალოდ ამ პროდუქტების მწარმოებელი მსხვილი ქართველი მეწარმეებისაგან და მათი გაერთიანებებისაგან უნდა წამოვიდეს* (მაგალითად, მეღვინეთა ასოციაციისაგან). ეს თავად მეწარმეთა ინტერესებშია, ამიტომ სწორედ მათ უნდა იმუშაონ, რათა მათ მიერ წარმოებული პროდუქტები აკმაყოფილებდეს რუსეთის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის მიერ დადგენილ ხარისხის მოთხოვნებს. საექსპორტო პროდუქტების ქართველი მეწარმეების გააქტიურება ან დადებით შედეგებს გამოიღებს და რუსეთის ბაზარი მათთვის გაიხსნება, ან კიდევ ერთხელ დაანახებს მთელ საერთაშორისო საზოგადოებას მოსკოვის საქართველოსთან დამოკიდებულებას და რუსეთის ბაზრის დახურვის პრობლემა „სანიტარიული“ (რასაც მუდმივად ხაზს უსვამს რუსეთის მხარე) ჩარჩოებიდან გამოვა და აშკარად მიიღებს პოლიტიკურ დატვირთვას. აქვე აუცლებლადაა გასათვალისწინებელი, რომ იმ დროს, როდესაც დახურული იყო რუსეთის ბაზარი, ქართულმა ღვინოებმა გაუძლეს ხარისხის გამოცდას როგორც ევროპის ქვეყნებში[121], ისე აშშ-ში[122] და ამ ფონზე თუკი რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმი ქართული ღვინოების აკრძალვას კვლავაც მათი უხარისხობით ახსნის, ეს კიდევ უფრო შეულახავს მოსკოვს სახელს, ვიდრე ეს 2006 წელს იყო.

განსაკუთრებით მწვავედ დგას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად საქართველოს თანხმობის მიღების პრობლემა. თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ არ შეუცვლია თავისი მოთხოვნები რუსეთის მიმართ[123], დროდადრო აცხადებდა, რომ მზადაა დაიწყოს მოსკოვთან მოლაპარაკებები რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში[124] შესასვლელად და მათი პირველი შეხვდრა ჩატარდა კიდეც 2011 წლის მარტში (როგორც ზემოთაც აღინიშნა)[125]. მოსკოვის ოპტიმიზმს, რომ დაძლევს ქართულ „ბარიერს“, საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ აშშ აიძულებს თბილისს გახდეს უფრო დამთმობი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

[120]მაგალითად: «Онищенко предложил возобновить винные переговоры с Грузией». *Лента.Ру*, 2006, 11 августа, http://lenta.ru/news/2006/08/11/alko1/; «Онищенко: Грузия хочет возобновить поставки вин в Россию». *kvkz.ru*, 2007, 31 июля, на сайте http://kvkz.ru/2007/07/31/onishhenko_gruzija_khochet_vozobnovit_postavki_vin_v_rossiju.html; «Онищенко: у Грузии нет желания возобновлять поставки "Боржоми" в Россию». *Кавказский узел*, 2010, **5** *января*, http://www.kavkaz-uzel.ru/articles/163891/.

[121] მაგალითად: Keti Chkhikvadze. “Small-Biz: Planning to Export to the EU?” *The Financial*, 2010, January 11, http://www.finchannel.com/Main_News/Business/74435_Small-Biz%3A_Planning_to_Export_to_the_EU?/; Keti Chkhikvadze. “Who in the EU Knows about Georgian Wine?” *The Financial*, 2011, February 02, http://www.finchannel.com/Main_News/Geo/81380_Who_in_the_EU_Knows_about_Georgian_Wine?/.

[122] მაგალითად: Dave DeSimone. “Wines from Republic of Georgia Blend Modern, Traditional Styles.” *The Pittsburgh Tribune-Review*, 2010, July 27, http://www.pittsburghlive.com/x/pittsburghtrib/ae/s_692191.html; Elizabeth Downer. “Wine from Georgia? It's a Great Story.” *Pittsburgh Post-Gazette*, 2010, September 02, http://www.post-gazette.com/pg/10245/1084192-389.stm.

[123] მაგალითად: „რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებაზე საქართველოს პოზიცია „უცვლელია“. *Civil Georgia*, 2010, 5 ოქტომბერი, http://www.civil.ge/rus/article.php?id=21238; Десмонд Батлер. «Премьер-министр Грузии обозначил позицию по вопросу вступления России в ВТО». *ИноСМИ.ru*, 2010, 7 октября, http://www.inosmi.ru/caucasus/20101007/163434813.html.

[124] მაგალითად, «Власти Грузии готовы к переговорам с РФ по поводу вступления России в ВТО». *Независимая газета*, 2010, 12 сентября, http://www.ng.ru/cis/2010-12-09/6_gruzia.html.

[125] „რუსეთმა და საქართველომ ვმო-ზე მოლაპარაკებები განაახლეს“. *Civil Georgia*, 2011, 10 მარტი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=23753.

შესვლასთან დაკავშირებით[126]. მართალია, აშშ მოუწოდებს საქართველოს, იყოს უფრო „კრეატიული“ ამ მიმართულებით[127], მაგრამ ვაშინგტონი იმავდროულად ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს, რომ მოლაპარაკებები საქართველო-რუსეთს შორის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით არის ორმხრივი პროცესი, რაშიც აშშ არ ერევა[128].

ცნობილია, რომ საქარველოს სტრატეგიული პარტნიორები — აშშ და ევროკავშირი — არ მალავენ, რომ დაინტერესებული არინ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლით და 2011 წელს დასრულდა კიდეც მოლაპარაკებები, რომელთა შედეგადაც რუსეთმა მიიღო თანხმობა ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე[129].

საქართველო-რუსეთის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე საზღვრის საბაჟო კონტროლთან დაკავშირებული პრობლემებისგან განყენებით ორი აზრი არ არის, რომ საქართველოც არანაკლებაა დაინტერესებული რუსეთთან როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრთან სავაჭრო ურთიერთობებით, რადგან ეს გარემოება თვისობრივად გააუმჯობესებს რუსეთ-საქარველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და მათ უფრო პროგნოზირებადს გახდის. გათვალისწინებით იმისა, რომ საქართველოს ინტერესებში ასევე არ შედის აშშ-თან და ევროკავშირთან ურთიერთობების გართულება, ვფიქრობთ, რომ თბილისი ამ საკითხში გარკვეულ დათმობებზე წავა.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ზოგიერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერების მიერ წამოყენებული მიდგომა, რომ თუ მოსკოვი თბილისს უფლებას არ მისცემს გახსნას საკონტროლო-გამშვები პუნქტები საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, მაშინ თბილისს შეუძლია წავიდეს კომპრომისულ ვარიანტზე და მოსთხოვოს მოსკოვს ამ მონაკვეთებში რომელიმე ლეგიტიმური საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების დაყენება[130]. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს ევროკავშირი, რომლის დამკვირვებლებიც განლაგდებიან მითითებულ ადგილებში[131].

ჩვენი მოსაზრებით, ეს მიდგომა, რომელიც შეიძლება საქართველოს ხელმძღვანელობისთვისაც მისაღები იყოს, საკმაოდ შეესაბამება რეალობას, ოღონდ *საქართველო-რუსეთს შორის საბაჟო საკითხების მოგვარებაში უნდა ჩაერთოს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაც*. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ორივე ეს ქვეყანა არის მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრი (საქართველო — 1993 წლიდან, ხოლო რუსეთი — 1992 წლიდან), ორგანიზაციისა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საბაჟო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და რომელსაც აქვს მჭიდრო კავშირი ინტერპოლთან, გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტულ ორგანიზაციასთან, გაეროს სამსახურთან, რომელიც მუშაობს ნარკოტიკების კონტროლის მიმართულებით.

---

[126] Anders Åslund. “Why Doesn’t Russia Join the WTO?” *The Washington Quarterly*, 2010, Vol. 33, No.2, p. 11, http://www.twq.com/10april/docs/10apr_Aslund.pdf.

[127] „აშშ ვმო-ში გაწევრიანების თაობაზე რუსეთ-საქართველოს დავის „კრეატიული გადაწყვეტისკენ“ მოუწოდებს“. *Civil Georgia*, 2010, 20 ოქტომბერი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=23258.

[128] „ობამას მრჩეველი ვმო-ზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების შესახებ“. *Civil Georgia*, 2011, 5 მარტი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=23737.

[129] მაგალითად, Elizabeth Williamson. “Obama: Russia Belongs in WTO.” *The Wall Street Journal*, 2010, June 25, http://online.wsj.com/article/SB10001424052748704911704575327004122683016.html; Juliane von Reppert-Bismarck, and Alexei Anishchuk. “EU Agrees to Back Russia's WTO Entry.” *Reuters*, 2010, December 7, http://www.reuters.com/article/2010/12/07/us-eu-russia-wto-idUSTRE6B621R20101207.

[130] მაგალითად, „ირაკლი ალასანია ქართულ მხარეს რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების თანხმობის წინაპირობად ორ წინადადებას სთავაზობს“. , 2011, 7 მარტი, http://www.ghn.ge/news-36411.html.

[131] მაგალითად, „გიორგი თარგამაძე რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის დიალოგის დაწყებას მიესალმება“. *GHN*, 2011, 7 მარტი, http://www.ghn.ge/news-36379.html.

ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მილსადენების ქსელის დივერსიფიკაციის სფეროში ახალი მიდგომების შემუშავებას. ეს, პირველ რიგში, უნდა დაეფუძნოს ე.წ. „ალტერნატიული მილსადენების“ პარადიგმას. როგორც ცნობილია, კასპიის ზღვის აუზის ნახშირწყალბადის რესურსებს მიიჩნევენ რუსეთის ნახშირწყალბადის რესურსების ალტერნატივად და მილსადენები, რომლებითაც კასპიის ნავთობი და გაზი დასავლეთის ბაზრებს რუსეთის გვერდის ავლით მიეწოდება (ასევე მილსადენების ის პროექტები, რომლებიც ამას განახორციელებენ), ითვლება რუსეთზე გამავალი მილსადენების „ალტერნატიულად“. ტერმინი „ალტერნატიული“ გარკვეულწილად მოიცავს რუსეთის დაპირისპირებას სხვა ქვეყნებთან.

მილსადენების ქსელის განვითარების აღქმის ამგვარი ხელოვნურობა  კარგად ჩანს ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის მაგალითებზე. ამ ნავთობსადენებით ტრანსპორტირებული ნავთობი რუსული ნავთობის ექსპორტის მხოლოდ ათ პროცენტს თუ შეესაბამება, ხოლო სამხრეთ-კავკასიური გაზსადენით ტრანსპორტირებული გაზი — გაზის რუსული ექსპორტის ორ პროცენტს[132]. ბუნებრივია, რომ ასეთი თანაფარდობით ბაქო-თბილისი-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები და სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი ვერ შეასრულებენ რუსული მილსადენების „ალტერნატიულ“ ფუნქციას.

სინამდვილეში ბაქო-თბილისი-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, სამხრეთკავკასიური გაზსადენი თუ რუსეთის ტერიტორიაზე გამავალი,  ნავთობისა და გაზის დასავლეთში გადამტანი მილსადენები, არის ურთიერთშემავსებელი მილსადენები. ნავთობისა და გაზის შეუფერხებელი მიწოდებისთვის კი საჭიროა სწორედ მილსადენების ისეთი სისტემის არსებობა, სადაც ეს მილსადენები არ იქნებიან ურთიერთდაკავშირებული და გაუთვალისწინებელ შემთხვევებში (მაგალითად, ტექნიკური ხარვეზების ან რემონტის დროს) შეუძლიათ მომხმარებელს დაუბრკოლებლად მიაწოდონ ეს პროდუქტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია „ალტერნატიული მილსადენების“ პარადიგმიდან გადავიდეთ „ურთიერთშემავსებელი მილსადენების“, ანუ „მილსადენების ჰარმონიზაციის“ პარადიგმაზე[133]. ეს უკანასკნელი კი ეფუძნება პარტნიორობას იმ სუბიექტებს შორის, რომლებიც მოიპოვებენ, ტრანსპორტირებას ახორციელებენ და ნავთობსა და გაზს მოიხმარენ. ყველა ამ მხარეს შორის კონსენსუსი საფუძვლად „მილსადენების ჰარმონიზაციას“ დაედება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოქმედი მილსადენი, ასევე მილსადენების დღეისათვის აქტუალური პროექტები — „თეთრი ნაკადი“, „ნაბუქო“, „ჩრდილოეთის ნაკადი“ და „სამხრეთის ნაკადი“ — განიხილებოდეს „მილსადენების ჰარმონიზაციის“ პარადიგმის ფარგლებში. ამისათვის აუცილებელია ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილება — ითანამშრომლონ ერთმანეთთან, რათა დაცული იყოს მომხმარებლის უფლებები, რომ ენერგეტიკული რესურსები შეუფერხებლად მიეწოდებოდეს მათ. ამ მიმართულებით ინიციტივა, პირველ რიგში, უნდა წამოვიდეს საქართველოსგან (უკეთესი იქნება, თუკი საქართველო

[132] ეს საკითხები გაცილებით დაწვრილებით იხ.: Vladimer Papava, Sabit Bagirov, Leonid Grigoriev, Wojciech Paczynski, Marcel Salikhov, and Micheil Tokmazishvil. *Energy Trade and Cooperation Between the EU and CIS Countries*. CASE Network Reports, No. 83. Warsaw: CASE-Center for Social and Economic Research, 2009, http://www.case.com.pl/upload/publikacja_plik/23703888_CNR_83_final.pdf.

[133] Vladimer Papava and Michael Tokmazishvili. “Pipeline Harmonization Instead of Alternative Pipelines: Why the Pipeline ‘Cold War’ Needs to End.” Azerbaijan in the World. The Electronic Publication of Azerbaijan Diplomatic Academy, 2008, Vol. I, No. 10,  June 15, http://www.ada.edu.az/biweekly/issues/150/20090327030535315.html; Vladimer Papava and Michael Tokmazishvili. “Russian Energy Politics and the EU: How to Change the Paradigm.” *Caucasian Review of International Affairs*, 2010, Vol. 4 (2) – Spring, http://www.criaonline.org/Journal/11/Done_Russian_Energy_Politics_and_EU_How_to_Change_the_Paradigm_by_Vladimer_Papava_and_Michael_Tokmazishvili.pdf.

აზერბაიჯანთან ტანდემში იმოქმედებს[134]) და ევროკავშირისა და აშშ-ის აქტიური დახმარებით უნდა დაარწმუნონ მოსკოვი, რომ „მილსადენების ჰარმონიზაციის“ პარადიგმა მართებულია და მიზანშეწონილია მისი რეალიზაცია.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, განხილული ალტერნატივებიდან ყველაზე ნაკლებად მიზანშეწონილია პირველი — უახლოეს მომავალში საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების *სტატუს-კვოს* შენარჩუნება. რა თქმა უნდა, გაცილებით სახარბიელო იქნებოდა: ა)წინსვლა ქართული წარმოშობის პროდუქტების რუსეთის ბაზარზე დასაბრუნებლად მსხვილი ქართველი მეწრმეებისა და მათი გაერთიანებების ინიციატივით; ბ)რუსეთ-საქართველოს შორის საბაჟო საკითხების მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, ევროკავშირის) წარმომადგენლების, მათ შორის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის, ჩართვა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ; გ)„ალტერნატიული მილსადენების“ პარადიგმიდან „ურთიერთშემავსებელი მილსადენების“, ანუ „მილსადენების ჰარმონიზაციის“ პარადიგმაზე გადასვლა, რომელიც დაეფუძნება ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ტრანსპორტირებით დაკავებული და მომხმარებელი სუბიექტების პარტნიორობას.

ამგვარად, წარმოდგენილი მიმართულებებით მუშაობის დაწყება შეიძლება პარალელურადაც მოხდეს, რადგან ეს მიმართულებები ალტერნატიულია არა ერთმანეთის მიმართ, არამედ საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების *სტატუს-კვოს* შენარჩუნებისა.

**რეკომენდაციები**

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საქართველო-რუსეთს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ძირითადი გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ამ ურთიერთობების შემდგომ განვითარებას. ამ საკითხების მოსაგვარებლად აუცილებელია:

- დაუბრუნდეს ქართული წარმოშობის პროდუქტები რუსეთის ბაზარს;
- გამოინახოს კონსენსუსი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად;
- დაიწყოს თანამშრომლობა ნავთობისა და გაზის ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირების სფეროში.

ამ მიმართულებებით მუშაობა შესაძლებელია პარალელურ რეჟიმში.

ქართული წარმოშობის პროდუქტების რუსეთის ბაზარზე დაბრუნების საკითხებით, პირველ რიგში, უნდა დაკავდნენ ის მეწარმეები (და მათი გაერთიანებები), რომელთაც დაკარგეს ეს ბაზარი. საქართველოს ხელისუფლებამ კი მათ ხელი არ უნდა შეუშალოს.

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანოზაციაში გაწევრიანებისთვის საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ თბილისმა უნდა მოსთხოვოს მოსკოვს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის საბაჟო საკითხების მოწესრიგების საქმეში ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ევროკავშირი), მათ შორის — მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანიზაციების მზაობას, მიიღონ მონაწილეობა საბაჟო საკითხების მოწესრიგებაში საქართველო-რუსეთის საზღვრების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. ამისათვის საართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის შესაბამის სტუქტურებთან და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები.

[134] Vladimer Papava. “Formation and Development of the “Caucasian Tandem”.” *Azerbaijan Focus*, 2009, Vol. 1 (1).

საქართველო-რუსეთს შორის ნავთობისა და გაზის ევროპისაკენ ტრანსპორტირების სფეროში თანამშრომლობის დასაწყებად აუცილებელია „ალტერნატიული მილსადენების“ პარადიგმაზე უარის თქმა და გადასვლა „ურთიერთშემავსებელი მილსადენების“, ანუ „მილსადენების ჰარმონიზაციის“ პარადიგმაზე. პარადიგმათა ასეთი ჩანაცვლება შესაძლებელი გახდება მხოლოდ აქტიური მოქმედებების შემთხვევაში ყველა დაინტერესებული მხარის, პირველ რიგში კი, ევროკავშირისა და მისი იმ წევრი-ქვეყნებისა, რომლებიც უშუალოდ იღებენ (ან მომავალში მიიღებენ) ნავთობსა და გაზს საქართველოს გავლით. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად უნდა იმუშაოს უშუალოდ ამ ქვეყნებთან და ასევე ევროკავშირთან, რათა მოხდეს ზემოთ აღნიშნული „ალტერნატიული მილსადენების“ პარადიგმის „ურთიერთშემავსებელი მილსადენების“, ანუ „მილსადენების ჰარმონიზაციის“ პარადიგმით ჩანაცვლება. არანაკლები აქტიურობაა საჭირო ამ მიმართულებით აშშ-ის ხელმძღვანელობასთან სამუშაოდ, რომელსაც არსებითი გავლენა აქვს დასავლეთისა და ევრაზიის ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბება-განხორციელებაზე.

## დასკვნები

მიუხედავად საქართველო-რუსეთის ურთიერთობების სირთულისა, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები არ გამწყდარა. გრძელდება ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის (მართალია, თვისობრივად შედარებით დაბალ დონეზე), უფრო მნიშვნელოვანი გახდა რუსული კაპიტალის აქტიურობა ქართულ ეკონომიკაში, ხოლო ქართული სამუშაო ძალა (სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად), თავის მხრივ, აქტიურად გამოიყენება რუსულ ეკონომიკაში, თანაც რუსეთში მომუშავეები თავიანთი შემოსავლის ნაწილს საქართველოში მცხოვრებ ნათესავებს უგზავნიან.

ამასთან, საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში დაგროვდა ისეთი მწვავე პრობლემები, რომელთა მოსაგვარებლადაც განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. ეს პრობლემებია: რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნება, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა და ნავთობისა და გაზის ევროპისაკენ ტრანსპორტირების საქმეში თანამშრომლობა. თუკი პირველი პრობლემის მოსაგვარებლად ინიციატივა უნდა წამოვიდე ქართველი საქონელმწარმოებლებისა და მათი გაერთიანებებიდან, მეორე და მესამე პრობლემის გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ხელისუფლებისა და ამ საკითხებით უშუალოდ დაინტერესებული საერთაშორისო საზოგადოების აქტიურ მოქმედებებს. საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატმა, რომელთა წევრები არიან საქართველოც და რუსეთიც, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ გარკვეული პოზიტიური შედეგების მისაღწევად.